



## გაფართოებული პოლისტიროლის პროდუქცია (პენოპლასტი) (EPS)

### უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

#### 1 ნივთიერების/ნარევის იდენტიფიკაცია

##### 1.1 პროდუქციის იდენტიფიკაცია

პროდუქციის დასახელება: გაფართოებული პოლისტიროლის პროდუქცია (პენოპლასტი) (EPS)

##### 1.2 პროდუქციის აღწერა

გაფართოებული პოლისტიროლი წარმოადგენს თბოსაიზოლაციო მასალას, რომელიც შეიცავს თანაბრად განაწილებული დახურული უჯრედების მქონე საფარს. არ შთანთქავს წყალს, არ ახდენს შეკუმშვას, აქვს მაღალი ქიმიური მდგრადობა და არ აქვს ლპობის რისკი. მასალას აქვს მაღალი სიმტკიცე, რაც უზრუნველყოფს სწორი და მყარი საფუძვლის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის თბოსაიზოლაციო სისტემის ექსპლუატაციის ხანგრძლივობას.

##### გამოყენების არეალი

- იატაკის ლაგებზე, გადახურვები ნივნივებზე;
- მოდულური კონსტრუქციები, საყოფაცხოვრებო შენობები, კარკასული კედლები;
- ფასადები.

#### 2 საფრთხის იდენტიფიკაცია

ფიზიკური საფრთხე არაკლასიფიცირებადი

ჯანმრთელობის საფრთხე არაკლასიფიცირებადი

არ შეიცავს საფრთხეს ან მოითხოვს საფრთხის პრევენციულ ზომებს.

#### 3 ხანძრის საწინააღმდეგო ზომები

მასალა არის აალებადი - ხანძარმედეგობის კლასი - E

#### 4 შემთხვევით გავრცელების ზომები

მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

#### 5 დამუშავება და შენახვა

- a) შენახვის პირობები - პროდუქცია უნდა იყოს დაცული ატმოსფერული ნალექების და მზის სხივებისგან. ფილები უნდა განთავსდეს პლატფორმებზე, პალეტებზე. არ შეიძლება პროდუქციის განთავსება ცეცხლის კერებთან ახლოს. ღია სივრცეში შენახვა შესაძლებელია სპეციალური შეფუთვის გამოყენებით. ტრანსპორტირების პაკეტებში პროდუქციის შენახვა დასაშვებია იარუსებად, მაქსიმუმ 3,5 მეტრის სიმაღლეზე. შენახვის დროს დაუშვებელია მზა პროდუქციის შეკუმშვა.



## გაფართოებული პოლისტიროლის პროდუქცია (პენოპლასტი) (EPS)

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

### 6 ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები

იერსახე: მინერალური თბო- და ხმის იზოლაცია ფილების სახით.

სუნი: N/A

### 7 ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მასალას არ აქვს ტოქსიკოლოგიური ეფექტი; მასალა უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

### 8 ნარჩენების განკარგვის ზომები

შესაძლებელია პროდუქციის უტილიზაცია როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენი.